



Co-funded by the  
Erasmus+ Programme  
of the European Union



INTEGRITY

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



# რა არის პლაგიატი ?

აკადემიური კეთილსინდისიერება და  
პლაგიატის პრევენცია სამცხე-ჯავახეთის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში

ხარისხიანი განათლება დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობისა და ღია საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა. დღეს, უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე.

პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები და საჩქეციები უნივერსიტეტში რეგულირდება აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტი **EU-ERASMUS+INTEGRITY** “აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)” ფარგლებში, სადაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ პარტნიორ უნივერსიტეტს საქართველოს 11 უსდ-ს შორის.

[www.sjuni.edu.ge](http://www.sjuni.edu.ge)

ახალციხე 2019

# რა არის პლაგიატი ?

## პლაგიატი არის

მეცნიერების და ხელოვნების დარგში სხვისი

შემოქმედების, სხვისი იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისება. ყველაზე ხშირად პლაგიატი გამოიხატება სხვისი თხზულების, ან იდეის პუბლიკაციაში საკუთარი სახელით, ასევე სხვისი თხზულების ფრაგმენტების სესხებაში, წყაროს მითითების გარეშე.

## პლაგიატის მაგალითი

- \* თუ ნებისმიერი სხვა ადამიანის იდეებს იყენებთ და არ დაასახელებთ წყარო;
- \* თუ თქვენს ნაშრომში ბუნდოვნად ჩანს, როგორ გამოიყენეთ ეს თუ ის წყარო და ისე შეცვალეთ მისი მოტანის ფორმა, რომ ეს სრულიად ცალსახად გაუგებარი გახდა;
- \* წერილობითი ნაშრომის შესრულებისას, თუ ვინმე დაგეხმარათ, არ მოიხსენიეთ ის და არ დააფასეთ მისი წვლილი



## როგორ ავიცილოთ პლაგიატი?

- \* ყოველთვის მკაფიოდ გამოყავით წყაროდან მოტანილი ციტატები, იდეები და ბრჭყალებში ჩასვით;
- \* არასოდეს გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე, მიუხედავად იმისა, მასალა ღიაა, საჯაროდ ხელმისაწვდომია თუ არა, თქვენ მაინც ვალდებული ხართ მიუთითოთ წყარო;
- \* მიუთითეთ ნებისმიერი ისეთი მასალის წყარო, რომელიც სხვას ეკუთვნის და რომელიც თქვენ არ შეგიქმნიათ;
- \* არასოდეს გააკეთოთ ტექსტთან ისე მიახლოებული პარაფრაზი, რომ მკითხველმა ორიგინალად ჩათვალოს.

## რას მოგცემთ პლაგიატზე უარის თქმა?

- \* განივითარებთ აკადემიური წერის უნარს;
- \* გაეცნობით მეტ აკადემიურ ლიტერატურას, გაიზრდებით ინტელექტუალურად;
- \* გახდებით შემოქმედი თქვენი შემოქმედების;
- \* თავიდან აირიდებთ დისციპლინურ სასჯელს.

პლაგიატის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლიდან დაიწერა პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin), რომელიც ტექსტებს შორის მსგავსების დადგენას და პლაგიატის აღმოჩენას ემსახურება.

## გისურვებთ წარმატებას!